დღეს იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

# მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!




ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 10 (11316) | ორშაბათი, 12 იანვარი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა გაიხსნება დღეს, 12 იანვარს, დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).**

## მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

ყოველ დღეს მოაქვს ახალი, განსაცვიფრებელი, ჩვენი წინსვლის მაუწყებელი სახიხარულო ამბები. მაგრამ ჩვენს გულში, ხალხის გულში სულ სხვაა დღეები, როდესაც პარტია იკრიბება თავის ყრილობაზე. ხალხისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა თავისი პარტიის — კომუნისტური პარტიის ყრილობა.

პარტიას მიანდო ხალხმა თავისი ბედი. პარტიის პოლიტიკაში ხედავს ხალხი თავისი ყველაზე სასიცოცხლო ინტერესების გამოხატულებას. ხალხმა იცის, რომ პარტიის გეგმები კომუნისტური ხვალინდელი დღეა. ამიტომაც არის ახლა საქართველოს მშრომელთა ფიქრები და გრძნობები მიპყრობილი ჩვენი დედაქალაქისაკენ, სადაც დღეს მუშაობას შეუდგება საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა. იგი ემთხვევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობისათვის მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობით მზადების დღეებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — საქართველოს კომპარტია თავის ყრილობაზე მოვიდა ძლიერი, ურყევი, მონოლითური, თავისი ხალხის სიყვარულით გარემოსილი. სააშაყოა ვიცოდეთ, რომ რესპუბლიკის ინდუსტრიას არც ერთ წელს არ უმუშავნია ისე წარმატებით, როგორც 1958 წელს — საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,2 პროცენტით არის შესრულებული.

ამ ციფრში ისმის მძლავრი მაჯისცემა კომუნიზმის მშენებელი ხალხისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

სააშაყოა ვიცოდეთ, რომ 1958 წელს რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, თესლოვანი, კურკოვანი ხილისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხორცისა და მატყლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ამ წარმატებებმა მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებაში.

გასული წელი ხასიათდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის თვალსაჩინო გაუმჯობესებით, და ამაში იგრძნობა პარტიის მშობლიური ზრუნვა ადამიანებისათვის.

მძლავრად შემოდგა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში შვიდწლედის პირველმა წელმა. იგი შემოვიდა კომუნისტური შრომის დროშით, რომელზეც აწერია: დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს.

შვიდწლედი! — სულ ახლახან დაბადებულმა ამ სიტყვამ უკვე ბინა ჰპოვა ყველა საბჭოთა ადამიანის გულში. განუზომლად დიდი მოცულობისაა იგი თავისი ფიქრების სიმდიდრით, გრძნობებით, მიზანსწრაფვით. შვიდწლედი ის პროჟექტორია, რომლის შუქზე ხელშესახებად მოჩანს კომუნიზმის დიადი შენობა.

შვიდწლედი ძლიერია იმ ეპოქით, როდესაც უდაბნო ბაღნარად იქცევა, მდინარეები — ელექტროენერგიად, ადამიანის გონება გაბედულად იჭრება კოსმოსში, ატომის ბირთვში, როდესაც ბრძოლით გავლილია მანძილი კავიდან ტრაქტორამდე, ვოლხოვშენიდან ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურამდე, ანტ-4-დან ტუ-114-მდე, პირველი საბჭოთა მეურნეობა „გიგანტიდან“ ყამირის გიგანტურ საბჭოთა მეურნეობებამდე, სტრატოსტატიდან თანამგზავრებამდე და კოსმოსურ რაკეტამდე, რომელიც მზის საბჭოთა თანამგზავრი გახდა.

საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა განიხილავს შვიდწლედით დასახულ დიად პროგრამას, სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს“. საქართველოს კომპარტიის ეს რიგგარეშე ყრილობა იმსჯელებს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ ყოველმხრივ ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობაზე, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე.

საქართველოს შვიდწლედის ციფრები რესპუბლიკის აყვავების, მისი სიძლიერის მაუწყებელი ნამდვილი სიმფონიაა: 1958 წელთან შედარებით 1965 წელს მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ზრდა შეადგენს: თუჯის დარგში — 55 ათას ტონას, ფოლადისა — 241 ათას ტონას, ნაგლინისა — დაახლოებით 200 ათას ტონას, ქვანახშირისა — 780 ათას ტონაზე მეტს, ელექტროენერგიისა — 2,3-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 2,6-ჯერ და ავტომობილებისა — 2,5-ჯერ, ცემენტისა — 150 ათას ტონაზე მეტს, მინერალური სასუქებისა — 2,2-ჯერ, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა — 167 პროცენტს, ტყავის ფეხსაცმლისა — 129,3 პროცენტს, ხორცისა — 124,1 პროცენტს, პირველადი დამუშავების ჩაისა — 180 პროცენტს და ყურძნის ღვინისა — 2,4-ჯერ და უფრო მეტს.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობა იქნება ჩვენი შახტებისა და მაღაროების სიმძლავრის, ქართული ფოლადისა და თუჯის, ავტომობილებისა და ელმავლების, მანქანებისა და ჩარხების სიმრავლის, ჩვენი ზვრებისა და ბაღების, ციტრუსებისა და ყანების, მეცხოველეობის პროდუქტების დოვლათის გადიდების გზების დამსახველი ყრილობა. ეს იქნება ჩვენი კულტურისა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, ჩვენი სახალხო განათლების შემდგომი აყვავებისა და განვითარების, დიდი ლენინის მიერ დასახული გზით ჩვენი რესპუბლიკის ახალი წინსვლისა და გამარჯვების ყრილობა.

ახალი შვიდწლედით განათებულ კომუნიზმის გზაზე ჩვენი რესპუბლიკა კვლავაც ძლევამოსილად ივლის მოძმე რესპუბლიკების მხარდამხარ, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ამ სახელოვან გზაზე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს წინ უძღვის საქართველოს კომუნისტური პარტია.

მხურვალე სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დელეგატებს!

## მიიღე საჩუქრები, ჩვენო პარტიავ!

### ახლის ძიებაში

შრომითი აღმავლობაა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედე საამქროში. საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას ღირსეული საწარმოო საჩუქრები მოუმზადეს ჩემი ბრიგადის წევრებმაც. ნორმის გადამეტებით 400 ტონაზე მეტი თუჯი გამოვადნეთ, საწარმოს დავუზოგეთ 15 ათას მანეთზე მეტი.

ბრიგადის წევრები მუდამ ახლის ძიებაში არიან, სრულყოფენ თუჯის გამოდნობის ტექნოლოგიურ პროცესებს. ორჯერ და მეტად შევამცირეთ ბრძმედზე მაცივრის მოწყობილობის და ცხელი ბერვის შიბერის გამოცვლის დრო, ღუმელს დამატებით გავუკეთეთ ღარი ციცხვებში თუჯისა და წიდის ცალ-ცალკე მიწოდებისათვის.

**ა. ძამაშვილი,**
**აგლოსაბრძმედე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.**

### ჰექტარზე 180 ცენტნერი ყურძენი

ამ დღეებში ჩვენი ბრიგადის წევრები ენერგიულად შრომობენ. გასულ სამეურნეო წელს ბრიგადამ 300 ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფა. პრემიის სახით ბრიგადის წევრებზე გაიცემა 120.000 მანეთი. საერთოდ შრომადღეზე მიიღებენ 30 მანეთს.

იანვრის პირველი დღეებიდანვე უფრო გაძლიერდა ვენახის სამუშაოები. უკვე დამთავრდა ბარვა და სასუქების შეტანა, შტამბის გასუფთავება. მზად ვართ სხვლის დაწყებისათვის.

პირობას ვაძლევთ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ წელს 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 180 ცენტნერ ყურძენს (ურწყავზე).

**მ. მარჩილაშვილი,**
**გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.**

### თექვსმეტი მეყალიბე

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო საამქროს საყალიბო უბნის მესამე კონვეიერთან დგას თექვსმეტი ჭაბუკისაგან შემდგარი ბრიგადა. ყველა მუყაითად შრომობს, და აი შედეგიც: მეყალიბეთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გასული წლის გეგმა 8 თვეში შეასრულა.

უფრო კარგ მაჩვენებლებს ვაღწევთ შვიდწლედის პირველ დღეებში.

**ა. კაპანაძე,**
**ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.**

### რიგელებთან

ქარხანა „ელექტროავტომატის“ მხეხავთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომლის წევრი მეც ვარ, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ათ დღეში ერთი თვის გეგმა გავანაღდეთ.

ქარხანა ფართოვდება, ემატება ახალი საწარმოო ფართობები. კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები აქტიურად მონაწილეობენ მშობლიური საწარმოს მშენებლობაში, ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობაში.

ამჟამად ბრიგადირი ზ. რუსია თანაბრიგადელ ბ. სირაძესთან ერთად რიგაში იმყოფება, რომ გაეცნოს „ვეფის“ კოლექტივის მუშაობას, მოწინავე გამოცდილებას.

**გ. ავაზიშვილი,**
**ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი.**

### სარეკორდო მაჩვენებელი

კომუნისტური შრომის ვახტზე შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ რუსთაველი მეცემენტეები. ჩემმა ბრიგადამ იანვრის პირველ 8 დღეში გეგმის ზევით 500 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ცემენტი მისცა სამშობლოს.

ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს სასახელო საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXI ყრილობას, დაამზადონ კიდევ 1000 ტონით მეტი ცემენტი, ვიდრე ვალდებულებით ჰქონდათ ნაკისრი. 10 იანვარს ბრიგადამ ცვლაში ნორმის გადამეტებით გამოუშვა 180 ტონა ცემენტი. ეს სარეკორდო მაჩვენებელია.

**რ. ჭიჭინაძე,**
**რუსთავის ცემენტის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.**

საბჭოთა ხალხმა, რომელიც დარაზმულია თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო, ისეთ მწვერვალებს მიაღწია, ისეთი გრანდიოზული გარდაქმნები განახორციელა, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ჩვენს ქვეყანას ახლა შევიდეს თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამ პერიოდის მთავარი ამოცანები იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივი შექმნის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების და ამავე დროს საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილების ამოცანები. ეს იქნება კაპიტალისტურ სამყაროსთან შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი, როცა პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ისტორიული ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი გამსჭვალული არიან რწმენით, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება.

* * *

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ხალხის მრავალმილიონიანი მასების ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობაა. საბჭოთა ხალხი ახალ შვიდწლიან გეგმას მიიღებს როგორც თავის სასიცოცხლო, მშობლიურ საქმეს, და ეჭვი არ არის, ჩვეული აქტივობით, ენთუზიაზმითა და ინიციატივით იშრომებს მისი შესრულებისათვის.

(თეზისებიდან ამხანაგ ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე)

## საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას

რომ არ გიმღერო
და მადლობა არ გითხრა დიდი,
ერთი მითხარი —
რას იფიქრებს,
რას მეტყვის იგი,
დედამიწიდან
ვინც პლანეტა ააგდო ცაში,
ვინც დაუმკვიდრა პირველობა
საბჭოთა კავშირს,
ვინც აღმოუფხვრა დასაყრდენი
„ზეციერ მამას“,
ვინც, შენ რომ არა,
მიაღწევდა არამც თუ ამას,
ველოსიპედსაც ვერ შექმნიდა
საკუთარს იგი.

რომ არ გიმღერო
და მადლობა არ გითხრა დიდი,
ჩემი შვილი რომ გაიზრდება,
რას მეტყვის იგი,
ოდეს მის ხელში
აღმოჩნდება ჩემივე წიგნი
და იმ ჩემს წიგნში
არ იქნება დიდება შენი —
დიდება მისი,
ვინც დიდების გვალირსა დღენი,
ყველაზე უწინ
დიდებისა ვინც არის ღირსი,
ვინც დაგვასახლა,
ვინც ღიმილად აქცია ცრემლი,
ვინც შეგვაყვარა
1917 წელი,
ამხელა ჩვენი აღმავლობა —
ღვაწლია ვისიც.

თუ გიძგერს გული,
თუ გაქვს სისხლი,
ღონე თუ გერჩის,
თუ გეყურება
წინაპართა ძახილი შორი...
არავითარი არ არსებობს
ამ ქვეყნად ეჭვი,
ვერავითარი ვერ შებღალავს
ცილი და ჭორი;
დღეს რომ
ესოდენ ძლიერია ქვეყანა ჩვენი,
დღეს რომ
ქართველი ლაპარაკობს ქართული
ენით,
დღეს რომ
სამგორშიც შრიალებენ ძვალმსხვილი
ხენი,
დღეს რომ
სუყველას მიუწვდება სწავლაზე
ხელი,
დღეს რომ
მართლაცდა მაღალია მშრომელის
ჭერი,
ეს ყველაფერი
არის შენით,
შენით და შენით.

ფართო ქუჩაში
გუგუნია ცხოვრების დიდის...
და ნეტა იმ დღეს —
წელიწადი რომ გავა შვიდი.
გაივლის წლები...
კიდევ ბევრი ჩაივლის წყალი..
უფრო და უფრო
დაფასდება ამაგი შენი,
საქმეთა შენთა
ველარავინ ვერ იტყვის ენით.
პარტიავ ჩვენო,
დაგელოცოს კეთილი ხელი

**მუხრან მაჭავარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XIX ჩვენი ლამაზი ქვეყნის ხვალინდელი დღე

ვადიდებ სამშობლოს,
რომელიც დღეს არის,
და სამგზის —
რომელიც იქნება!




## ჩვენი რესპუბლიკის რუკასთან

ჩვენს წინ არის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რუკა. ეს ახალი საქართველოა — ჩვენს თვალწინ დავაჟკაცებული და ამაღლებული, მძლავრი ინდუსტრიისა და ვრცელი საკოლმეურნეო ველების ქვეყანა, ვაზისა და ციტრუსების ოსტატთა, სახელოვან მეცნიერთა ქვეყანა, მარად მზიანი, გულუხვი და გულმართალი.

მის ცენტრშია საქართველოს თბილი გული — თბილისი, ქართველი ხალხის სიამაყე, მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრე, ათას ხუთასი წლის ჭაბუკი. ათას ხუთასი წლის მანძილზე ქართველებს არ შეეძლოთ იმდენი გაეკეთებინათ, რამდენიც შექმნეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. თბილისში მძლავრად იგრძნობა საქართველოს ინდუსტრიული მაჯისცემა. კომუნისტური შრომის ბრიგადების რიგებში ამაყად მიაბიჯებენ თბილისელი ჩარხმშენებლები და ელმავალმშენებლები, მანქანათმშენებლები და რკინიგზელები, ფეიქრები და ავტოშემკეთებლები...

პარტიის ნებით აყვავებულა, დამშვენებულა ხალხბედნიერი ქართული მიწა. განა ცოტაა საამაყო და თავმოსაწონი! ქუთაისი თავს იწონებს ქართული ავტომანქანით, რომელიც წინათ ხრიოკ და უკაცრიელ მაღლაკის ველზე დაიბადა, ახალგაზრდა ქალაქი რუსთავი — ფოლადით და თუჯით, შავი ზღვის სანაპირო — ჩაითა და ციტრუსებით, განთქმული კურორტებით, ჭიათურა — ფასდაუდებელი მარგანეცით, ტყიბული და ახალციხე — „შავი ოქროთი" — ქვანახშირით, ქართლი და კახეთი — ქართული ვაზის ბარაქით — ღვინით, პურითა და ხილით, მეცხოველეობის პროდუქტებით... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! ქართველმა მარტო ღვინის დაყენება და პურის მკა როდი იცის. მან კარგად ისწავლა ფოლადის დნობაც. მისი სულიც ფოლადივით გამოიწრთო.

კიდევ უფრო ბრწყინვალე, უფრო დიადია საქართველოს მომავალი, მისი კომუნისტური ხვალინდელი დღე. ეს დღე ჩვენი შვიდწლედის ნათელ დღეებში იბადება და იწრთობა. ბევრი რამ შეიცვლება შვიდწლედის მანძილზე. შეიცვლება საქართველოს რუკაც. აშენდება ახალი ქარხნები, შახტები და ფაბრიკები, გაჩნდება ახალი დასახლებული პუნქტები, ახალი ქუჩები და სახლები. ყოველივე ამას შექმნის ახალი საბჭოთა ადამიანი. ახალი საქართველოს მკვიდრი და ბინადარი, მისი ბედის მჭედელი.

## დროს რომ გაუსწრონ

ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქრო. უზარმაზარ თაღქვეშ ლიანდაგზე დგანან ცისფრად შეღებილი ლოკომოტივები — შვიდწლედის პირველი მძლავრი ქართული ელექტრომავლები.

— შვიდწლედში ელექტრომავლების გამოშვება 12,5-ჯერ უნდა გავადიდოთ, ამასთან უნდა ავითვისოთ და გამოვუშვათ ცვლადი დენის ერთფაზიანი ელექტრომავალი, ეს არ არის იოლი საქმე, მაგრამ ვფიქრობთ შევძლებთ, ამბობს ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. მასხარაშვილი.

მთავარ ინჟინერს აქვს საფუძველი დარწმუნებული იყოს ამაში. კოლექტივი, რომელსაც საკმაოდ ჰყავს გამოცდილი სპეციალისტები და შრომის ისეთი ენთუზიასტები, ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდები, როგორიც გ. ჩადუნელის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები არიან, არავითარი სიძნელის წინაშე არ დაიხევს უკან.

— მაღალი ტემპი უნდა ავიღოთ, ბიჭებო! ხომ იცით, როგორი ვალდებულებები ვიკისრეთ, თავი არ შევირცხვინოთ, — ზოგჯერ მოაგონებს ხოლმე ბრიგადირი ამხანაგებს.

ბიჭებიც ჩქარობენ, რომ დროს გაუსწრონ, შვიდწლედი ორ წელიწადში შეასრულონ. მაგრამ საქმეს ნაჩქარევად როდი აკეთებენ. გულდაგულ, სიყვარულით ჩაჰკირკიტებენ ყოველ დეტალს, ყოველ კვანძს. უმნიშვნელო დეფექტიც რომ გაიპაროს ელექტრომავლის აწყობაში, ამით ხომ ქარხნის მარკას ჩრდილი მიადგება და მერე რა პირით უნდა ეჩვენონ კოლექტივს!..

ბრიგადის წევრებმა ხუთ დღეში დაამთავრეს ძარის, ძარისქვეშა გაყვანილობის, კაბინის მოწყობა მორიგ ელექტრომავალზე, ხუთი დღით ადრე გაუთავისუფლეს სამუშაო ფრონტი ელექტრიკოსებს, დურგლებს.

— მორიგ ელექტრომავალზე მუშაობას უფრო მალე უნდა მოვრჩეთ, რას იტყვით? — შეეკითხა მეგობრებს ელექტრომემდუღებელი ბ. გავა.

— ვეცადოთ, — მოკლედ მოჭრა ლ. ნასყიდაშვილმა.

— ვეცადოთ რას ჰქვია, აუცილებლად ასე უნდა გავაკეთოთ, ჩაერია საუბარში ტანჩია ალი ტუჟ-ოღლი, ხუმრობით მეგობრები „ნაბოლარას" რომ ეძახიან.

უსმენ, უყურებ და გიკვირს: როგორ დაეტია ამ პატარა ბიჭის არსებაში შრომის ასე დიდი სიყვარული.

და განა მარტო ა. ტუჟ-ოღლია ასეთი? შრომის სიყვარული გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის ყველა წევრის ცხოვრების კანონია, ხასიათის სიმტკიცე, შეუპოვრობა ამ შესანიშნავი ახალგაზრდების საერთო თვისებაა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბრიგადამ ათ დღეში ერთი თვის გეგმა გაანაღდა. ახალ ელექტრომავალზე სამუშაოები ვალდებულებაზე ორი დღით ადრე შესრულდა.

— ეს ჩვენი მცირედი საწარმოო საჩუქარია საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობისათვის. დეტალები იმდენი გვაქვს მომზადებული, რომ ბარე ხუთ ელექტრომავალსაც ავუთავდებით, მაგრამ კორპუსები იგვიანებს და ეს გვაფიქრებს, — ამბობენ ბრიგადის წევრები.

ა. ხუჭუა.



სურათზე: გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადა მუშაობს მორიგი ელექტრომავლის დეტალების აწყობაზე

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ალიო მირცხულავა

## საბჭოთა საქართველო

გულს აღმაფრენით მღერა სწადია, —
ეტრფის მშობლიურს, მისი ტოლია,
ოცდათვრამეტი წელიწადია
თავს დასტრიალებს, როგორც თოლია.

მისი რა ვნახო — არ გამიხარდეს,
გაქრა წარსული, რაც მაღონებდა,
მე საქართველო რომ არ მიყვარდეს,
სიმღერას ვინღა შთამაგონებდა?

მარად შუქსავსე მხარე მშობელი
დიდ საბჭოეთში ბრწყინავს, ანთია,
ვით გაზაფხული დაუჭკნობელი,
შესტრფის თებერვლის წითელ
განთიადს.

ამ დღეს ელოდა კერა მიმქრალი,
ცეცხლად ოქტომბრის დროშას
არწევდა,
ვერ დაგვერია დროთა გრიგალი,
ვერ დაარბია ბუდე არწივთა.

ჟღერს ალაზანი, მტკვარიც, რიონიც,
ხარობს კოლხიდა, ქართლი, კახეთი.
ამაღლებულა კავკასიონიც —
მთელი მსოფლიოს გადასახედი.

მზით შემოსილი და შემკობილი
მტერმა სამშობლო ვერ გადათელოს,
დიდი რუსეთის მკვიდრი ძმობილი
თხუთმეტთა შორის დგას საქართველო.

მას გამარჯვების ახსოვს მაისი,
ომიც და მტრობაც მუხანათური,
ხალხთა მშვიდობის ხმაში გაისმის
მისი შრომის ხმა, მისი ნადური.

თვალი ემატოს მის სავენახოს,
ოქროს ზღვად იქცეს მიწა ნათესი,
დაე შვიდწლედის რთველში გვენახოს
უფრო უხვი და ულამაზესი!

## 1958 წელს

★ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1958 წლის გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოებმა 105,2 პროცენტით შეასრულეს. 1957 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა თუჯის, ფოლადის, მინერალური სასუქების, ელექტროენერგიის წარმოება, მარგანეცის მადნის მოპოვება.

★ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავებამ მიაღწია თითქმის 3 მილიარდ კილოვატ-საათს, ე. ი. წინა წელთან შედარებით გაიზარდა 18 პროცენტით.

★ გეგმის ზევით გამოშვებულ იქნა შალის ქსოვილები — 134 ათასი მეტრი, ბამბის ქსოვილები — 1.700 ათასი მეტრი, აბრეშუმის ქსოვილები — 1.150 ათასი მეტრი, ფეხსაცმელი 470 ათასი წყვილი, ღვინო — 42 ათასი დეკალიტრი.

★ საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 65 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს, და საექსპლოატაციოდ გადაეცა 244 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ანუ 53 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა წელს.

★ რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოების მოცულობა 1955 წელთან შედარებით გაიზარდა სამჯერ, ხოლო 1957 წელთან შედარებით — ერთნახევარჯერ.

★ 1957 წელთან შედარებით მოსახლეობას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით 759 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიეყიდა.

★ მიღებულ იქნა ჩაის სარეკორდო მოსავალი — 133.000 ტონა ანუ 26 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. ჩაის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე შეადგინა 2.925 კილოგრამი.

★ სახელმწიფოს მიეყიდა დაახლოებით 30.000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ანუ 11 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

★ ყურძნის დამზადება გადიდდა 1,8-ჯერ 1953 წელთან შედარებით და მიაღწია 152 ათას ტონას.

★ თესლოვანი და კურკოვანი ხილის დამზადება 1953 წელთან შედარებით გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად. ხეხილის ნარგავთა რაოდენობამ 114 ათას ჰექტარს მიაღწია.

★ რძის წარმოებამ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიაღწია 155 ცენტნერს. ერთ ძროხაზე საშუალო წველადობამ შეადგინა 1.094 კილოგრამი.

★ ხორცის წარმოებამ საკლავი წონით 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიაღწია 31 ცენტნერს ნაცვლად 1953 წლის 23 ცენტნერისა.

## 1965 წელს

★ მრეწველობის საერთო პროდუქცია შვიდწლედში გაიზრდება თითქმის 75 პროცენტით.

★ დიდად განვითარდება მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა და ელექტროტექნიკური მრეწველობა. სამაგისტრალო ელექტრომავლების გამოშვება 1965 წლისათვის გადიდდება 12,5-ჯერ, ხოლო ქიმიური მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 6-ჯერ.

★ ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 6.800 მილიონ კილოვატ-საათს. 1965 წლისათვის 1953 წელთან შედარებით სასოფლო ელექტროსადგურების წლიური გამომუშავება გაიზრდება 3-ჯერ, ხოლო ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რიცხვი — 3,3-ჯერ.

★ ზესტაფონში აშენდება ქარხანა „საქკაბელი", რომელიც გამოუშვებს სხვადასხვა სახის კაბელებსა და სადენებს.

★ მიმდინარე წლის ბოლოს თბილისი მიიღებს ყარადაღის ბუნებრივ გაზს, რომლის ბაზაზეც აშენდება ელექტროსადგური.

★ ქვანახშირის ამოღება 1958 წელთან შედარებით 1965 წლისათვის გადიდდება 24,6 პროცენტით.

★ საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად შვიდ წელიწადში ხარჯები 3 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. მარტო თბილისში აშენდება 705 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

★ შვიდწლედში აშენდება 15 ჩაის ფაბრიკა, გაფართოვდება პირველადი მეღვინეობის საწარმოო ბაზა. ჩაის წარმოება გაიზრდება 1,5-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 2,5-ჯერ.

★ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი შვიდი წლის მანძილზე გაიზრდება 100 ათასით და მიაღწევს 700 ათასს.

★ განათლების ხარჯები 1958 წლის 48,8 მილიონი მანეთიდან 1965 წლისათვის გადიდდება 97,5 მილიონ მანეთამდე. მოსწავლეთა რიცხვი 612 ათასიდან გადიდდება 740 ათასამდე.

★ 1957 წელთან შედარებით ხილის მოსავლიანობა გაიზრდება დაახლოებით 1,8-ჯერ. ბაღების ფართობი 114 ათასი ჰექტარიდან გაიზრდება 140 ათას ჰექტარამდე.

★ მომავალ შვიდწლედში ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი გადიდდება 13.000 ჰექტარამდე, ხოლო ნაყოფის დამზადება მიაღწევს 50-55 ათას ტონას.

★ უნდა მოიკრიფოს 170 ათასამდე ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 47 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1958 წელს.

★ რძის წარმოება გადიდდება 2,4-ჯერ. საშუალოდ ერთი ძროხის წველადობამ უნდა მიაღწიოს სულ მცირე 2.500 კილოგრამს.

★ განზრახულია ხორცის წარმოება გადიდდეს 1,7-ჯერ ე. ი. 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებულ იქნას სულ მცირე 64 ცენტნერი ხორცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ მოვდივართ ყრილობაზე, ჩვენ მტკიცე ვართ პირობაზე!

## მოგვითხრობენ ყრილობის დელეგატები

### მეგობრების სახელით



გასული წელი ჩემმა ბრიგადამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. ცვლის დავალებებს 120-130 პროცენტით ვასრულებდით. სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით ასობით ტონა ქვანახშირი.

ახლახან სტალინის სახელობის შახტის მე-2 უბნის უფროსად დამაწინაურეს. უბნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას. იანვრის ათი დღის დავალება 104,2 პროცენტით გავანაღდეთ.

შვიდწლედში დასახულია ქვანახშირის მოპოვების მკვეთრი გადიდება. ეს ყოველი მეშახტისაგან მოითხოვს უფრო მუყაით, თავდადებულ შრომას.

ჩემი უბნის კოლექტივის სახელით ვაცხადებ: ვიშრომებთ ისე, როგორც ამას ჩვენგან კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ.

**ი. ორჯონიკიძე,**
ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროს მე-2 უბნის უფროსი.

### სიტყვას არ გავტეხთ



თბილისში რგოლის წევრებმა დიდი სიხარულით გამომაცილეს.

— ჩვენი სალამი გადაეცი საქართველოს ყველა მოწინავე მეჩაიე დელეგატს, — დამაბარეს.

როგორც იტყვიან, წელგამართული და ხელდამშვენებული ჩამოვედი საქართველოს დედაქალაქში. ჩვენმა რაიონმა ჩაის კრეფის საქმეში 1958 წელსაც გამოიჩინა თავი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ამ გამარჯვებაში ცოტაოდენი დამსახურება ჩვენი რგოლის წევრებსაც მიუძღვით, მომაგრებული პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე ჩვენ 6.400 კილოგრამი პირველი ხარისხის ფოთოლი მოვკრიფეთ.

რგოლის წევრებმა ამას წინათ მოვითათბირეთ, ჩვენი შესაძლებლობანი ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ წელს თვითეულ ჰექტარზე 7 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ. ჩვენ ამას შევასრულებთ, რადგან რგოლის წევრებს სიტყვა არასოდეს არ გაუტეხიათ.

**ზ. ცხომელიძე,**
მახარაძის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

### შვიდწლედი ექვს წელიწადში



ამ დღეებში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დავამთავრეთ 9 სამ-სამსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მათში უკვე შესახლდნენ მეტალურგები და ქიმიკოსები. აქვე დაწყებულია 8 საცხოვრებელი სახლისა და ერთი კინოთეატრის მშენებლობა. აქედან ერთ-ერთ სახლს ჩემი ბრიგადა აშენებს. როცა ამ სახლის მშენებლობას შევუდექით, ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ეს ობიექტი ავაშენოთ ერთი თვით ადრე, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ჯერ ათი დღეც არ გასულა და უკვე ვამთავრებთ პირველი სართულის კედლების აყვანას. ნაკისრ ვალდებულებას აუცილებლად შევასრულებთ.

რუსთავში საბინაო მშენებლობა მაღალი ტემპით წარმოებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1950 წლისათვის ქალაქში აშენებული იყო 37.861 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები, 1958 წლისათვის — 281.157 კვადრატული მეტრი, ხოლო 1965 წლისათვის აშენდება 541.157 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ბრიგადის კოლექტივის სახელით პირობას ვიძლევი შვიდწლიანი გეგმის დავალება შევასრულოთ 6 წელიწადში.

**არსენ ჭიკლაური,**
მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის კალატოზთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

## „შავი ოქრო" შვიდწლედში

ყვირილის ვიწრო ხეობაში გაშენებული ქალაქი საქვეყნოდ არის განთქმული შესანიშნავი ქართული მარგანეცის საბადოებით, წარმოების შესანიშნავი ადამიანებით. აქ, მთების გულში, მძლავრად გაუშლია მხრები მარგანეცის მრეწველობის ცენტრს. ათასობით გამრჯე, შრომისმოყვარე ხელს მიწის წიაღიდან გამოაქვს „შავი ოქრო" — ქართული მარგანეცი.

ჭიათურელი მაღაროელებისათვის ყოველი დღე სამშობლოს საკეთილდღეოდ გაჩაღებულ შრომაში მოპოვებული ახალი გამარჯვებებით არის აღსავსე. მათ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის და სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვადაზე ადრე გაანაღდეს მარგანეცის გამოღების გასული წლის გეგმა და მეტალურგიულ საწარმოებს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცეს.

დღეს ქართველ მაღაროელთა მრავალათასიანი კოლექტივი შრომობს იმ პასუხსაგები ამოცანების მთელი შეგნებით, რომლებიც მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ შვიდწლედისათვის დასახა. მარგანეცის მოპოვება უნდა გაიზარდოს 95 პროცენტით. ამის მიღწევა იოლი არ არის, მაგრამ რაკი პარტია, სამშობლო მოითხოვს, ჭიათურელი მაღაროელები უპასუხებენ: — **შევასრულებთ!**

შვიდწლედში ამუშავდება დარკვეთის, მღვიმევი-ხრამის, ზედა რგანის, მერევის, ფასიეთის მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკა, დამყვანი ფაბრიკა, რომელიც IV სორტის მარგანეცს უმაღლეს სორტებად გადაამუშავებს.

წარმატებით რომ გავართვათ თავი ამ დავალებებს, საჭიროა გადავჭრათ ბევრი საკითხი, რომლებიც სამთოელების წინაშე დგება. აუცილებელია მნიშვნელოვანი მუშაობა მძლავრი ფენების დამუშავების რაციონალური სისტემების ასარჩევად.

მომავალ შვიდწლედში დიდი ამოცანები დგას მარგანეცის მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის დარგში.

ცნობილია, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტი უშვებს უმაღლესი სორტების მარგანეცის მადანს, რომელსაც იყენებენ ფერომარგანეცის მისაღებად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ექსპორტისათვის, და დაბალი სორტების მარგანეცის მადანს, რომელსაც მეტალურგიაში იყენებენ თუჯის მისაღებად.

უახლოეს წლებში მიღწეულ უნდა იქნას დაბალი სორტის მარგანეცის მადნის გამდიდრება იმ დონემდე, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ფერომარგანეცის წარმოებაში.

ამ მიზნით დაჩქარებული ტემპით აშენდება ცენტრალური დამყვანი ფაბრიკა, რომელიც გადაამუშავებს IV სორტის მადანს. ამის პარალელურად სწრაფი ტემპით



სურათზე: მაღარო „ახალი ითხვისის" ცნობილი ნოვატორი მბურღავი, საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატი კ. ნადირაძე (მარცხნივ) ახალგაზრდა მაღაროელებს უზიარებს თავის გამოცდილებას.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა.

* * *

უნდა აშენდეს და დამონტაჟდეს მოქმედ გამამდიდრებელ ფაბრიკებში ელექტრომაგნიტური სეპარატორები IV სორტის მადნის წვრილი ფრაქციების გადასამუშავებლად.

შვიდწლედში მარგანეცის მრეწველობაში გამდიდრების ხაზით უნდა დაინერგოს და ათვისებულ იქნას გამდიდრება ელექტრომაგნიტური სეპარატორებით, მარგანეცის კარბონატული მადნების გამდიდრება მძიმე სუსპენზიებში და მარგანეცის გამდიდრება ფლოტაციის მეთოდით.

შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით დასახული ყველა ღონისძიების განსახორციელებლად საჭიროა ჭიათურაში ათვისებულ იქნას ასობით მილიონი მანეთი სამრეწველო მშენებლობაზე, 170 მილიონი მანეთი საბინაო მშენებლობაზე და სულ ცოტა 100 მილიონი მანეთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაზე.

ჭიათურაში ასეთი უდიდესი მშენებლობის განსახორციელებლად წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალური ტრესტი „ჭიათურმარგანმშენი", რომლის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სასახელოდ იშრომოს.

ყველა დასახული ღონისძიების განხორციელების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მარგანეცის მრეწველობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა და უზრუნველყოფს ჩვენს შავ მეტალურგიას მაღალხარისხოვანი ქართული მარგანეცით.

**თ. ჯანელიძე,**
საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

## მეცნიერება ხალხის სამსახურში

მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი ინტერესით გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს და კანონს სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.

თეზისებში ნათლად და გარკვევით დასახულია უახლოეს შვიდ წელიწადში საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების პროგრამა.

საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებმაც კაცობრიობის გაბედული ოცნება სინამდვილედ აქციეს და დღეისათვის უკვე მთვარის მიმართულებით გაუშვეს რაკეტა-ლაბორატორია, მსოფლიო მეცნიერებაში არნახულ შედეგებს მიაღწიეს. მაგრამ ჩვენ არ გვჩვევია ერთ ადგილზე გაჩერება. ჩვენი მეცნიერები, კონსტრუქტორები, გამომგონებლები კიდევ უფრო გაამდიდრებენ საბჭოთა მეცნიერებას ახალი აღმოჩენებითა და მიღწევებით.

ახალ შვიდწლედში შეიქმნება ყველა პირობა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის, გაიზრდება და განმტკიცდება ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის მეცნიერებათა საფუძვლები.

ჩვენი ინსტიტუტი დიდად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას — მოუმზადოს სამშობლოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აღზარდოს სტუდენტი ახალგაზრდობა შრომისა და სწავლის შეერთების პრინციპზე. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები შემოქმედებითს კავშირში არიან წარმოებასთან, მუშებთან.

საუკეთესო შედეგი გამოიღო ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების თანამეგობრობამ ქარხანა „ელექტროავტომატის", კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის და სხვა საწარმოთა კომუნისტური შრომის ბრიგადებთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა ახალ ამოცანებს დასახავს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ჩვენ ძალებს არ დავიშურებთ ამ ამოცანების განხორციელებისათვის.

**ი. ბუაჩიძე,**
საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

## მერეთელი კომუნისტები

**რაიონული** პარტიული კონფერენცია მიმდინარეობდა. მოხსენების შემდეგ შესვენება მოეწყო. დელეგატთა ერთ ჯგუფს ასეთი საუბარი ჰქონდა:

— მეწლეობა არ არის ხეხილის დამახასიათებელი ჭირი, დაუძლეველი თვისება.

— იგი თავისუფლად შეიძლება მოსპობილ იქნას აგროღონისძიებათა მთელი კომპლექსის დროულად და ხარისხიანად ჩატარებით.

— ეს განა საკამათოა, როცა რაიონში გვყავს კოლმეურნეობები, რომლებსაც აქვთ ამის მდიდარი გამოცდილება!?

...საშუალო ტანის პირხმელი კაცი, სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ანიაშვილი ამხანაგებს უამბობდა მებაღეობაში მეწლეობის ლიკვიდაციის საქმეში კოლმეურნეობის გამოცდილებაზე...

* * *

მთელ გორის რაიონში და მის გარეთაც ხილის უხვი მოსავლით ფართოდ ცნობილია მერეთის კოლმეურნეობა. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის მთავარ დარგს მეხილეობა წარმოადგენს. მერეთელმა კოლმეურნეებმა ხეხილის საუკეთესო მოვლით, ბაღებში აგროღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებით მიაღწიეს მეწლეობის ლიკვიდაციას და ყოველწლიურად ხილის კარგი მოსავალი მოჰყავთ. მაგალითად, 1957 წელს 105 ჰექტარი მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 83 ცენტნერი ხილი მიიღეს, 1958 წელს კი — 126 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა.

ამ წარმატებებში დიდია კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის, სოფლის კომუნისტების წვლილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობის მებაღეობის შვიდივე ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. თვითონ პარტბიუროს მდივანი გაიოზ გაბლიშვილი, რომელიც მეორე ბრიგადას მეთაურობს, მოწინავე მეხილეა. გასულ წელს მისმა ბრიგადამ ხილის მოსავლიანობის გეგმა სამმაგად გაანაღდა. კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს კომუნისტების აკაკი გუგუტიშვილისა და არჩილ გორგიშელის ბრიგადებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე 135-147 ცენტნერი ხილი მოიყვანეს.

კომუნისტმა მეხილემ არჩილ გორგიშელმა გვიამბო ბრიგადის მუშაობის გამოცდილებაზე.

— ხილის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას, — გვითხრა მან, — ბრიგადა შემოდგომიდანვე, მოსავლის აღების შემდეგ იწყებს. რიგებს შორის ვაწარმოებთ ხვნასა და ძირების გამობარვას ნოემბერსა და დეკემბერში. ხვნის წინ ყოველწლიურად შეგვაქვს ჰექტარზე ნაკელი 10 ტონა, მინერალური სასუქები — აზოტიანი 100 კილოგრამი, ფოსფორიანი 120 კილოგრამი და კალიუმიანი 60 კილოგრამი. განსაკუთრებული ყურადღებით ვატარებთ მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში დიდი როლი ენიჭება გასხვლის დროზე ჩატარებას. ვაწარმოებთ მექანიკურად დაზიანებული და გამხმარი ტოტების შეცლას, საზრდელი ტოტების სანაყოფედ გადაყვანას, ვარჯის გამოხშირვას, სანაყოფე ტოტების გაახალგაზრდავებას. ზამთარში ხეხილს ვრწყავთ. ეს ხელს უწყობს ნიადაგში ტენის მარაგის შენარჩუნებას. ამასთან ზამთრის რწყვა ანადგურებს მღრღნელებს.

კოლმეურნეობაში მრავლად არიან ხილის უხვი მოსავლის ოსტატები. საამაყოა, რომ ხილის მაღალი მოსავლის ოსტატთა შორის არიან ქალებიც. ლენინის ორდენოსანმა ნათელა გიორგიშვილმა შარშან ხილის მოსავლიანობის გეგმა ხუთმაგად შეასრულა, ხოლო შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა მარიამ გორგიშელმა — ოთხმაგად.

* * *

კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე განიხილეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები. კომუნისტებმა და კრებაზე დამსწრე უპარტიო კოლმეურნეებმა წამოაყენეს საყურადღებო წინადადებები შვიდწლედში მეხილეობის განსავითარებლად. გამოითქვა აზრი, რომ ნერგით უზრუნველყოფისათვის კოლმეურნეობაში მოეწყოს სანერგე, ხილის მოსავლიანობის ყოველწლიური ზრდის მისაღწევად დაჩქარდეს ძველი ბაღების გაახალგაზრდავებისათვის საჭირო სამუშაოები და სხვ. კოლმეურნეობის გამგეობამ მოიწონა ეს და სხვა წინადადებები და გადაწყვიტა შვიდწლედში ხეხილის ახალი ბაღი ას ჰექტარზე გააშენოს და ერთიორად გაზარდოს მოსავალი.

მერეთელი კოლმეურნეები შეუდგნენ თეზისებიდან გამომდინარე საკითხების პრაქტიკულად განხორციელებას. აქ დიდსა და პატარას უყვარს ბაღი, იცის ხილის მადლი და ბარაქა. კოლმეურნეობის მთელი ფულადი შემოსავლიდან — 6.150.000 მანეთიდან 5 მილიონი მეხილეობიდან არის მიღებული. შარშან კოლმეურნეობაში შრომადღეზე გაიცა 45 მანეთი ფულად.

მერეთლებს უხარიათ, რომ მათი მოყვანილი ხილი ჩვენი ქვეყნის ბევრი მშრომელის სუფრას ამშვენებს.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## მოგვითხრობენ ყრილობის დელეგატები

### შრომის მადლი



ბაზალეთელ კოლმეურნეებს დიდი ხანია ასეთი სასახელო მაჩვენებლებით არ დაუმთავრებიათ სამეურნეო წელი. 1953 წელთან შედარებით ორჯერ და მეტად გავზარდეთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. თვითეულ ძროხაზე შარშან ათასამდე კილოგრამი რძე მივიღეთ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბაზალეთელი კოლმეურნეების წარმატება სიმინდის მოყვანის დარგში. სასახელო გარჯა-შრომით თავი ისახელეს მოწინავე კოლმეურნეებმა ს. ვერძეულმა, მ. პაპიაშვილმა, პ. შალიაშვილმა, ნ. სონიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე 56 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

მაგრამ ამ მიღწევებს როდი ვჯერდებით, ჩვენი მიზანია მომავალში კიდევ უფრო ვამრავლოთ მიღწევები და ვასახელოთ დედა სამშობლო.

**ვ. თოლაშვილი,**
დუშეთის რაიონის ბაზალეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

### დიადი მიზანი მიკარნახებს



ორი წლის განმავლობაში კომბინატში რთვის ინსტრუქტორად ვმუშაობდი. მაგრამ საწარმოს მრთველი დასჭირდა, და მეც ხალისით დავუბრუნდი ჩემს ძველ საყვარელ საქმეს. საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად გავანაღდე. ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ვასრულებ. ჩემს მიერ დამზადებული ნართის 97 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ეს კარგი მაჩვენებელია ჩვენს კომბინატში.

ბევრ ახალგაზრდა მუშა ქალს შევასწავლე მრთველის პროფესია. ჩემი ყოფილი მოწაფეები მ. ქისტაური, ქ. მედოევა, რ. ბოროვიკი და სხვები ახლა მოწინავე მრთველები არიან.

მომავალში უფრო ბეჯითად ვიმუშავებ. ამას მიკარნახებს შვიდწლედის დიადი მიზნები.

**ლ. კრასნოვა,**
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მრთველი.

### ახალგაზრდული ხალისით



ჩვენი რგოლი 1955 წელს ჩამოყალიბდა. კოლმეურნეობის გამგეობამ ახალგაზრდებს 15 ჰექტარი სასიმინდე ფართობი მოგვიზომა და წარმატება გვისურვა. მგონი, მოლოდინი ცუდათ არ გაუმართლეთ. ყოველწლიურად უხვი მოსავალი მოგვყავს. აი თუნდაც შარშან საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ. განსაკუთრებით თავი ისახელეს ნ. ბესელიამ, მ. აბსანძემ, დ. პერტაიამ და ლ. ყურუამ. პირადად მე მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 177 ცენტნერი სიმინდი მივიღე. შვიდწლედის პირველ წელს გადაწყვეტილი გვაქვს 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 100 ცენტნერი სიმინდი. პირადად მე ჰექტარზე 200 ცენტნერი მოსავლის მოყვანისათვის ვიბრძვი.

**კ. სანდუხაძე,**
ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი.

## ქართული ვაზის ბარაქა

**შვიდწლედის** წინა წლები დიდი გარდატეხის წლები იყო ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მევენახეობას, როგორც წამყვან დარგს.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუდმივი მზრუნველობით, სოფლის მშრომელთა ბეჯითი მეცადინეობით მკვეთრად გაიზარდა ვენახების ფართობი, ყურძნის მოსავლიანობა და შემოსავალი ამ ძვირფასი დარგიდან.

თუ 1952 წელს კოლმეურნეობებში ჰექტარზე მიღებული იყო საშუალოდ 31,4 ცენტნერი ყურძენი, 1958 წელს მივიღეთ — 71 ცენტნერი, ე. ი. 1952 წელთან შედარებით ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაიზარდა 40 ცენტნერით. საგულისხმოა, რომ 1953 წლის შემდეგ ახალი ვენახები გაშენდა 1.845 ჰექტარი ნაცვლად წინა ხუთ წელიწადში გაშენებული 779 ჰექტარისა.

მევენახეობაში კიდევ უფრო მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ცალკეული კოლმეურნეობები და ბრიგადები. სოფელ შაშიანის კოლმეურნეობამ 1952 წელს თვითეულ ჰექტარ ვენახში მოკრიფა 24 ცენტნერი ყურძენი, მთელი მოსავალი მხოლოდ 2.213 ცენტნერი იყო, 1958 წელს კი ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 114 ცენტნერამდე გადიდდა, საერთო მოსავალი — 11.970 ცენტნერამდე, ანუ ხუთჯერ 1952 წელთან შედარებით. ასევე ითქმის ბევრ სხვა კოლმეურნეობაზეც.

ზოგიერთმა ბრიგადამ და რგოლმა ყურძნის მოსავლიანობის ნამდვილ სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია. მაგალითად, სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მიხეილ მარჩილაშვილის ბრიგადამ, რომელიც იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის დამკვიდრებისათვის, 18 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე გასულ შემოდგომაზე 172 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ამავე კოლმეურნეობის მევენახეობის იმ რგოლმა, რომელსაც მიხეილ არუსტაშვილი ხელმძღვანელობს, 6,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 222 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ასეთი ფაქტი მრავალია.

მევენახეობის განვითარების კვალობაზე რაიონის სოფლის მშრომელები სულ უფრო მეტ ყურძენს აბარებენ სახელმწიფოს. გასულ წელს სახელმწიფოს მიეყიდა 20 ათასი ტონამდე ყურძენი, მაშინ როცა 1953 წელს ჩაბარებული იყო 10.114 ტონა. რაიონის ჩვიდმეტივე კოლმეურნეობამ და კოლმეურნეებმა ჩაბარებული ყურძნის საფასურად შარშან მიიღეს 91 მილიონამდე მანეთი.

ამ გზით მკვეთრად გაიზარდა კოლმეურნეობათა სიმდიდრე და შრომადღის ხვედრი. მაგალითად, სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს მთლიანად 1.300 ტონამდე ყურძნის მოსავალი მოიყვანა და სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვით რამდენიმე მილიონი მანეთი მიიღო.

მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა ბრძოლა ვენახის მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ. დამთავრდა თუ არა რთველი, მაშინვე გაჩაღდა ვენახების დამუშავება და, შეიძლება ითქვას, რომ შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები ასე კარგად სხვა წლებში არ განხორციელებულა.

მევენახეობის განვითარება კიდევ უფრო დიდ გაქანებას მიიღებს შვიდწლედის მანძილზე. დასახულია 1965 წლისათვის რაიონში ვენახების ფართობი აყვანილ იქნას 11.000 ჰექტარამდე ნაცვლად ამჟამად არსებული 6.813 ჰექტარისა. მარტო სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობას განზრახული აქვს ვენახების ფართობი 700 ჰექტარამდე გაზარდოს. მთელი რიგი კოლმეურნეობების ზვრები 500-600 ჰექტარამდე მიაღწევს.

ამასთან ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგება ღვინის ქარხნების გაფართოების აუცილებლობის საკითხი. არსებული ღვინის ქარხნები ცუდად როდი მუშაობენ. მათმა პროდუქციამ, კერძოდ კი ცალკეული მარკის ღვინოებმა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც კი მაღალი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ქარხნების არსებული სიმძლავრე ვეღარ აუდის ყურძნის მოსავლის მიღება-გადამუშავებას. შემუშავებულია საკონტროლო ციფრი, რომ რაიონში 1965 წლისათვის ყურძნის სახელმწიფო შესყიდვა 1958 წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდოს. ცხადია, შესაბამისად უნდა იზრდებოდეს ღვინის ქარხნების სიმძლავრეც.

ვენახის ნიადაგის დამუშავებასა და ვაზის წამლობაში დიდია მექანიზაციის როლი. მნიშვნელოვანწილად მექანიზაციის ფართოდ დანერგვის შედეგია, რომ ცენტნერი ყურძნის წარმოებაზე ჩვენმა კოლმეურნეობებმა გასულ წელს დახარჯეს 4,5 შრომადღე, 2 შრომადღით ნაკლები 1953 წელთან შედარებით. მაგრამ არის თუ არა საკმარისი მექანიზაციის დღევანდელი დონე მევენახეობაში? სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მევენახეობაში საქმე ამ მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილია.

გურჯაანის რაიონის მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ჩვენი პარტიის ბრძნული გადაწყვეტილებებით, უზრუნველყოფენ მევენახეობის შემდგომ განვითარებას, გაამრავლებენ ქართული ვაზის ბარაქას.

**ა. დავითაშვილი,**
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მდივანი.

## ჩვენი „მუსიკალური მოსავალი"

ქართველ კომპოზიტორებს თამამად შეუძლიათ თქვან, რომ მთელ ხალხთან ერთად ღირსეულად ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI და საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობებს.

სულ მალე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი მოაწყობს სპეციალურ პლენუმს, რომელზეც მოწვეული იქნებიან მწერლები, მხატვრები, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები და მუშები. მოხდება კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების ფართო ჩვენება. რაც კიდევ უფრო შეგვიწყობს ხელს შემდგომ მუშაობაში.

ამ პლენუმზე შესრულებული იქნება ჩემი ახალი ვოკალურ-სიმფონიური პოემა, რომელიც სწორედ ყრილობის წინადღეებში დავამთავრე.

კომპოზიტორმა ა. შავერზაშვილმა შექმნა ახალი კანტატა ლენინზე. კომპოზიტორის წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანა იდგა. მან საინტერესოდ მოახერხა მისი გადაწყვეტა. პლენუმზე შესრულებული იქნება აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორების ნოდარ მამისაშვილის საფორტეპიანო პრელუდიები, სულხან ნასიძის ახალი სიმფონია და ოთარ თევდორაძის სუიტა ქართულ ჰანგებზე; შ. მშველიძის პოლიფონიური სუიტა, ნ. გუდიაშვილის კონცერტი ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ჩელოსათვის ორკესტრთან ერთად. კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე ამჟამად მუშაობს ახალ სიმფონიაზე, ბ. კვერნაძე პლენუმისათვის ამზადებს სიმფონიურ სურათს „ლხინი". კომპოზიტორები შ. მილორავა და ს. მირიანაშვილი ქმნიან ახალ საესტრადო ნაწარმოებებს.

ერთი სიტყვით ქართველი კომპოზიტორები კვლავაც არ დაიშურებენ ძალასა და უნარს, რომ შექმნან მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანების ღირსი მუსიკა, რომელმაც ადვილი და სასიამოვნო უნდა გახადოს კიდევ უფრო ნათელი ცხოვრებისაკენ მიმავალი გზაზე სიარული.

კომპოზიტორი **ოთარ თაქთაქიშვილი,**
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. ფიქრის გორაზე.
ფოტოეტიუდი ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ყოველი მხრიდან

## ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

**დეტროიტი,** 10 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). 8 იანვარს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი იყო სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა დეტროიტის საქმიან კლუბში „დეტროიტ ედისონ კომპანი ენდ ასოშიეიტსის“ პრეზიდენტმა უოლკერ სისლერმა. უ. სისლერი გულთბილად მიესალმა ა. ი. მიქოიანს დეტროიტის საქმიანი წრეების შეკრებილ წარმომადგენელთა სახელით. სადილზე იყვნენ საავტომობილო კომპანიების „ჯენერალ მოტორსის“, „ფორდის“, „კრაისლერის“ გამგეობათა დირექტორები, ბანკების პრეზიდენტები და სამრეწველო და ფინანსური სამყაროს სხვა წარმომადგენლები, აგრეთვე ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენლები და დეტროიტის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

ა. ი. მიქოიანმა სადილზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა შეწყდეს ცივი ომი და გაუმჯობესდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. მან რწმენა გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა მშვიდობის განმტკიცების გზით განვითარდება.

ჩვენ ჯერ კიდევ ვგრძნობთ ცივ ქარს, თქვა ა. ი. მიქოიანმა, მაგრამ ეს გაზაფხულის ქარია. ყველა დაღალა ცივმა ომმა და მშვიდობა სურთ. მაგრამ ადამიანთა ურთიერთობაში ზამთარი გაზაფხულით ავტომატურად კი არ იცვლება, როგორც ეს ბუნებაში ხდება. ასეთი შეცვლისათვის საჭიროა სერიოზული ღონისძიებანი.

შეეხო რა ხელოვნურ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლიან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ა. ი. მიქოიანმა გაიხსენა, რომ სალეჰი რეზინი, შუშა და სასქმებელი საშუალებაც კი ჩათვლილია „სტრატეგიულ“ საქონლად, რომლის ამერიკის შეერთებული შტატებიდან სსრ კავშირში შეტანა აკრძალულია. ამ შენიშვნამ შეკრებილთა საერთო სიცილი გამოიწვია.

უნდა მოვაშოროთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას ნალექი, თქვა ა. ი. მიქოიანმა. შესაძლოა, თქვენ არ გვენდობით. ჩვენც საკმაოდ ბევრი საფუძველი გვაქვს არ გენდოთ. მაგრამ მოდით აღმოვფხვრათ უნდობლობა თანდათანობით. მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს მშვიდობიანი წარმოების დარგში.

დასასრულ ა. ი. მიქოიანმა წარმოთქვა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სადღეგრძელო.

ყველა დამსწრე ხანგრძლივი ტაშით მიესალმა ა. ი. მიქოიანის ამ მოწოდებას.

უ. სისლერმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ა. ი. მიქოიანს ვიზიტისა და მისი სიტყვებისათვის. ყველა ჩვენგანი, თქვა მან, ამ ღირსშესანიშნავი შეხვედრიდან წავალთ ერთმანეთის შეხედულებათა დიდი გაგებით. ეს კი დაგვეხმარება განვამტკიცოთ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი უდიდესი სახელმწიფოები არიან, რომლებსაც უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ მსოფლიოს ბედისათვის.

უ. სისლერმა რწმენა გამოთქვა, რომ ყველა შეკრებილნი განახორციელებენ ღონისძიებებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

დეტროიტის გაზეთები გუშინ წერდნენ, რომ ა. ი. მიქოიანის პირდაპირმა და გულახდილმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვინც იგი მოისმინა.

ჩიკაგოს წასვლის წინ ა. ი. მიქოიანმა კორესპონდენტთა თხოვნით გაუზიარა მათ დეტროიტში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი და პასუხი გასცა მათ კითხვებზე.

ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა დიდი ცვლილებანი დეტროიტში მას შემდეგ, რაც იგი პირველად იყო ამ ქალაქში 22 წლის წინათ.

მაგრამ მოხარული ვარ, რომ ყველაფერი არ შეცვლილა, თქვა მან. ცივ ომს ვერ შეუცვლია ადამიანთა ხასიათი. ისინი ისევე გულითადი, ისევე გულახდილი და უბრალონი არიან. ჩვენ, საბჭოთა წარმომადგენლებს, კარგად გვხვდებიან. დეტროიტის ქარხნებში, რომლებშიც ახლა ვიყავი, ისეთი გულთბილი შეხვედრა მქონდა მუშებსა და ინჟინრებთან, რომ ზოგჯერ მეგონა ჩვენი ქარხნების მუშებს შორის ვიყავი.

ა. ი. მიქოიანმა ილაპარაკა, თუ რა უდიდესი მშენებლობა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში და მოიყვანა წარმოების გადიდებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ზოგიერთი ციფრი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით. თქვენ მიხვდებით, განაგრძო ა. ი. მიქოიანმა, რომ ქვეყანას, რომელიც ასეთ უდიდეს მშენებლობას ეწევა, ომზე ფიქრი არ შეუძლია. ჩვენი სურვილია, რომ ამერიკელმა ხალხმა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჩვენთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი მშვიდობის განსამტკიცებლად.

ა. ი. მიქოიანმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გაფართოვდეს საქონლისა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლა და აღმოიფხვრას უნდობლობა.

მან აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს კონტაქტი ყველა დონეზე, რადგან ეს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

**ლ. ველიჩანსკი,**
**ვ. პარამონოვი.**

## კომუნიკე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ფანფანის ყოფნის შესახებ

**კაირო,** 9 იანვარი. (საქდესი). 8 იანვარს კაიროში გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფანფანის ყოფნის შესახებ.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ფანფანი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონს ეწვია პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის მიწვევით. ორივე მხარემ გაუზიარა ერთმანეთს აზრები იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემათა შესახებ, კერძოდ ხმელთაშუა ზღვის რაიონში, შუა აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში მდგომარეობის შესახებ. ორივე მხარეს შორის, ნათქვამია კომუნიკეში, გამოვლინდა „სრული თანხმობა შეხედულებებისა ყველა განხილულ საკითხზე“. თვითეულმა მხარემ გამოთქვა თავისი გულწრფელი სურვილი განამტკიცოს თანამშრომლობა ურთიერთ შორის.

კომუნიკეში შემდეგ აღნიშნულია, რომ დაიდო შეთანხმება კულტურის საკითხებზე და შეთანხმებულ იქნა ზოგიერთი სადავო ეკონომიური და ფინანსური საკითხი.

კომუნიკეში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ფანფანიმ კვლავ მიიწვია ნასერი იტალიაში და პრეზიდენტმა აღუთქვა ეწვიოს იტალიას მიმდინარე წლის განმავლობაში.

# ხელოვნების ქრონიკა

### „დონ სეზარ დე ბაზანი“

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა დიუმანუასა და დენერის კომედია „დონ სეზარ დე ბაზანი“ (თარგმანი ს. ფაშალიშვილისა). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თ. მესხს, მხატვრობა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს — დ. თავაძეს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ს. ცინცაძეს. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ხაჯალია, მსახიობები თ. ბერიძე, თ. პოკროვსკაია, ც. ბერიძე, გ. კოკელაძე, გ. ნაცვლიშვილი, ა. ქელბაქიანი და სხვ.

### „სარჩობელაზე“

**თელავი.** (საქ. კორ.). თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ი. ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით შ. გოცირიძის პიესა „სარჩობელაზე“. პიესა დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ დ. ბალარჯიშვილს, მუსიკა — კომპოზიტორ მ. ჩირინაშვილს. როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ჩელთისპირელი, მსახიობები ბ. ჯავახია, მ. ღლაშვილი, დ. მდივნიშვილი, ა. ბატიაშვილი, გ. მამუჩიშვილი, ჯ. ბოხუა და სხვები.

### დრამატული კოლექტივის დადგმა

**ტყიბული.** (საქ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის კლუბთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა, რომელშიც 14 სცენისმოყვარე მეშახტეა გაერთიანებული, მაყურებელს მორიგ დადგმად უჩვენა ქ. ცინცაძის პიესა „მეჭალა“. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ვ. ოდილაძემ. როლების შესრულებით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს სცენისმოყვარეებმა თ. ტორონჯაძემ, ნ. ხვედელიძემ, რ. სამსონოვამ, ა. ავალიანმა, ლ. კალატოზიშვილმა, ნ. გველესიანმა და ძმებმა რ. და ნ. ცირეკიძეებმა.

## ყვირილას ხეობის გამწვანებისათვის

**საჩხერე.** (საქ. კორ.). მდინარე ყვირილას ხეობა ოდესღაც ერთ-ერთი უმშვენიერესი ყოფილა საქართველოში. მაგრამ მცენარეთა დაუდევარი გაჩეხა-განადგურების ბევრგან ხრიოკი ფერდობილა დარჩა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებებისა და წითელწყაროელთა კეთილშობილური თაოსნობის პასუხად საჩხერის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს კვლავ გაამწვანონ ყვირილის ხეობა, ადრინდელი შნო დაუბრუნონ მას.

სატყეო მეურნეობის მუშაკებმა გასულ შემოდგომაზე გეგმის გადამეტებით 70 ჰექტარზე გააშენეს თეთრი აკაცია და 40 ჰექტარზე კაკალი. მათ ყვირილის ხეობაში, მარცხენა მხარეზე 10 ჰექტარზე დარგეს 7.000 ძირი ალვისხე, კანადის ვერხვი და თუთა.

განზრახულია ისტორიული ძეგლის ციხე-სიმაგრე „მოდი-ნახეს“ მიდამოების გამწვანება-გამშვენიერება. აქ 22 ჰექტარზე გაშენდება ტყე. ამისათვის უნდა მომზადდეს 45 ათასი ნაჭანი, აქედან 25 ათასი უკვე მომზადებულია. მიმდინარე წლის მარტში აქ დაირგვება 45 ათასი ძირი შავი ფიჭვი.

ბევრი რამ გაკეთდა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გამწვანებისათვის. ხუთ კილომეტრზე გაშენდა ალვისხის ქარსაცავი ზოლი. მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის დაირგო 5 ათასი ძირი თუთა და სხვ.

დაბისა და ყვირილის ხეობის გამწვანება გრძელდება.

## ნორვეგიელ და ბათუმელ ფეხბურთელთა შეხვედრა

**ბათუმი.** (საქ. კორ.). ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ნორვეგიის ტანკერ „მალმინგერისა“ და აჭარის 1958 წლის ჩემპიონის, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდებს შორის.

შეჯიბრება, რომელიც ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, ბათუმელთა გამარჯვებით დამთავრდა.

# სასიხარულო ამბები

### ახალი კულტურის სახლი

დაბა ქვაისაში ჩქეფს მადაროელთა ცხოვრება. მუშათა დასახლებას ყოველწლიურად ემატება ახალი ლამაზი საცხოვრებელი სახლები, კულტურის კერები, კომუნალური მეურნეობის ობიექტები. გასულ წელს ბევრი საცხოვრებელი სახლი ჩადგა მწყობრში. ქვაისელებმა ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცეს კულტურის სახლის ახალი შენობა. დიდ, ფართო შენობაში მოთავსებულია მაყურებელთა დარბაზი 400 კაცისათვის, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ოთახები თვითმოქმედი წრეებისათვის. კულტურის სახლის წინ ეწყობა ახალი პარკი, რომელიც საუკეთესო იქნება ქვაისაში. (საქ. კორ).

### კეთილმოწყობილ ბინებში

გურჯაანში ფართოვდება ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ დღეებში ქალაქის ცენტრში დამთავრდა გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ღვინის ქარხნის ცეხლფარეშმა ფ. კასრელიშვილმა, ბრიგადირმა შ. ბურდულაძემ, სარდაფის მუშამ ვ. მირზოევმა, დისპეტჩერმა გ. მინდორაშვილმა, მეღვინე ნ. გორხელაშვილმა და სხვებმა ფართო და კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რკინიგზის, ადგილობრივი მრეწველობის და საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

(საქ. კორ.).

### ფეიქართა ღამის სანატორიუმი

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კოლექტივმა ახალი საჩუქარი მიიღო — გაიხსნა ფეიქართა ღამის პროფილაქტიკური სანატორიუმი. აქ მოწყობილია სხვადასხვა სამკურნალო კაბინეტები, შემოღებულია დიეტური კვება. სანატორიუმში ოცდაოთხდღიანი საგზურებით წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ერთდროულად დაისვენებს და იმკურნალებს 25 კაცი. წლის განმავლობაში სანატორიუმი მოემსახურება სამასზე მეტ ფეიქარს.

(საქ. კორ.).

### 200 ოდა-სახლი

ხობის რაიონის სოფლებში თვალს ხიბლავს კოლმეურნეთა მიერ აშენებული ორსართულიანი ოდა-სახლები. მარტო გასულ წელს 200-მდე კოლმეურნემ ააგო ახალი საცხოვრებელი ორსართულიანი სახლი. სოფელ ხეთაში დაფნის, ჩაის და ციტრუსების შემოსავლით სახლი აიშენა 80-მა კოლმეურნემ, სოფელ ხამისქურში — 40 ოჯახმა. ბევრმა კოლმეურნემ აიგო წელს კარგი სახლები სოფლებში პირველ მაისში, შუა ხორგაში, პირველ ხორგაში, შუა და ქვემო ქვალონში. (საქ. კორ.).

### სასაუზმე ავტომატი

ტყიბულში ყოველწლიურად ფართოვდება საზოგადოებრივი კვების ქსელი. ამ დღეებში ქალაქის ცენტრში, ახლადაგებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე გაიხსნა სასაუზმე ავტომატი.

## მშრომელთა კეთილდღეობისათვის

საახალწლოდ და ყრილობისწინა დღეებში ბევრ სახლს ჩამოეხსნა ხარაჩოები. გასულ წელს მარტო თბილისის მოსახლეობამ მიიღო 102.540 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად ნავარაუდევი 100 ათასი კვადრატული მეტრისა.

ბევრი თბილისელი ახალი წლის დღესასწაულს კეთილმოწყობილ ახალ ბინაში შეხვდა. ჩელიუსკინელების ქუჩაზე დამთავრდა თბილისის № 1 მაცივრის მუშაკთა საცხოვრებელი სახლების მეორე რიგის მშენებლობა. მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს კეთილმოწყობილი სახლი 875 კვადრატული მეტრი ფართობით. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკთა ოთხსართულიანი 20-ბინიანი სახლი ბარნოვის ქუჩაზე. ახალ ბინებში გადავიდნენ „კავკასელექტროქსელმშენის“ მუშა-მოსამსახურეები. მათთვის ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე აიგო ხუთსართულიანი 43-ბინიანი სახლი. ბინები მიიღეს დურგალმა ვ. კაზაკოვმა, მუშამ ი. ასიუტინმა, ინჟინრებმა შ. შეროზიამ, გ. წულუკიძემ და ბევრმა სხვამ.

მშენებლებმა ბევრი სახლის დამთავრება საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას მიუძღვნეს.

მარტო საბურთალოზე დამთავრდა ხუთი 24-ბინიანი ოთხსართულიანი სახლის აგება, ფალიაშვილის ქუჩაზე საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისათვის უკვე მზად არის ხუთსართულიანი 30-ბინიანი სახლი. ამ დღეებში შესახლდებიან კანდელაკის ქუჩაზე და მეოთხე ნადიკვარის ქუჩაზე აგებულ სახლებში.

7-წლიანი გეგმის თანახმად კიდევ უფრო გაფართოვდება მშენებლობა. მარტო 1959 წელს სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში აშენდეს 401 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

## მწყობრში ჩადგა სქურჰესი

**წალენჯიხა.** (საქ. კორ.). წალენჯიხა მთაგორიანი რაიონია. იგი მდიდარია წყალუხვი მდინარეებით. რაიონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ჭანისწყალზე, კურორტ სქურის მიდამოებში. მშენებლობაში ჩაება რაიონის 17 კოლმეურნეობა.

სქურჰესის აგებით წყდება რაიონის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის ამოცანა.

ამ დღეებში კურორტ სქურის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ მშენებლები, მემონტაჟეები, კოლმეურნეები, მეზობელი რაიონების კოლმეურნეთა წარმოგზავნილები, რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. ხალხმრავალ მიტინგს შესავალი სიტყვით ხსნის წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ზარანდია. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სქურჰესის მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარეს ი. კვარაცხელიას. სიტყვები წარმოთქვეს სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. მორგოშიამ, მშენებლობის ტექნიკოსმა პ. შურღაიამ, სოფელ საჩინოს საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. წულაიამ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ზარანდიამ გაჭრა წითელი ლენტი. მიცემულ იქნა ნიშანი, და ტურბინებში წყლის პირველი ნაკადი შეიჭრა. აგუგუნდნენ გენერატორები, და კოლმეურნეთა ოჯახებში აციმციმდნენ პირველი ელექტროსხივები.

## დათვებზე ნადირობა

**ჯავა.** (საქ. კორ.). თოვლით დაიფარა დიდი ლიახვის ხეობა. წლის ამ პერიოდში დათვები ხშირად დაეხეტებიან მთის სოფლებთან, ეძებენ პირუტყვს. ასე მოხდა ახლაც. სოფლებში ხვწესა და ნინიაში დათვებმა რამდენიმე სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი გაიტაცეს. მტაცებლებთან საბრძოლველად ჯავის რაიონის მონადირეთა კავშირმა შექმნა მონადირეთა ჯგუფი. დეკემბრის ბოლო დღეს მონადირეებმა ვ. თედეევმა და ფ. ქარსანოვმა შკორდირქინის ხევში მოკლეს დედა დათვი, იქვე ახლოს ახალგაზრდა მონადირემ ი. ხარებოვმა — მეორე დათვი.

კიდევ უფრო მარჯვე იყო ნადირობა ამ დღეებში. ციალას ხევში მონადირე ვ. ქარსანოვმა თეძოში დაჭრა ვეებერთელა დათვი. მტაცებელმა ძალა მოიკრიფა და ელვის სისწრაფით გაექანა ადამიანისაკენ, მაგრამ ქარსანოვი არ დაიბნა, მოასწრო მეორე სროლა, და დათვი მოკვეთილი დაეცა. ამავე დღეს ნადირობა წარმატებით დაამთავრა გურამ ქარსანოვმა — მოკლა 200-კილოგრამიანი დათვი.

## საბჭოთა კალათბურთელების გამგზავრება სანტ-იაგოში

მსოფლიო პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელიც სანტ-იაგოში (ჩილი) გაიმართება, სპორტის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევს. ამ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ჩემპიონატში პირველად გამოდის საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი (მწვრთნელები ს. სპანდარიანი, ა. გომელსკი) 9 იანვარს ჩილში გაემგზავრა. ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში არიან: მ. ვალდმანისი, გ. მინაშვილი, ა. ბოჩკარიოვი, გ. აბაშიძე, ვ. ზუბკოვი, ო. კუტუზოვი, ი. ოზეროვი, მ. სემიონოვი, ვ. მუიჟნიეკსი, ი. კრუმინში, ვ. ტორბანი, ი. კორნეევი.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელია ი. ნიკიფოროვი.

### „მოსკვიჩი“ ლატარიის ბილეთით

**გურჯაანი.** (საქ. კორ.). ველისციხის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. მამისაშვილმა შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთი (№ 136, სერია 23175), რომელმაც მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

### მუშსოფლკორთა კაბინეტი

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 13 იანვარს დღის 1 საათზე წყალტუბოს რაიონის „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოში აწყობს მუშკორებთან და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებთან გასაუბრებას თემაზე: „კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა“.

• • •

14 იანვარს საღამოს 6 საათზე გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კულტურის სახლში მოწვეულია მუშსოფლკორთა და ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი თემაზე: „პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და მუშსოფლკორთა ამოცანები“.

# ვემზადოთ აღწერისათვის




საორგანიზაციო გეგმის შედგენისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქ. სიღნაღის და დაბა წნორის სქემატური რუკების შედგენას. ამ საქმეში ენერგიული მუშაობა გასწია სიღნაღის საქალაქო საბჭომ. ქალაქის სქემატური რუკა შედგენილ იქნა ტექნიკური მონაცემების საფუძველზე, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი კვარტალებად დაყოფას.

სახლთმფლობელობისა და სოფლის დასახლების სიების შედგენაზე კარგად იმუშავეს სიღნაღის საქალაქო, ანაგის, ბოდბის, ჯუგაანის, ვაქირის და სხვა სასოფლო საბჭოებმა.

გულდასმით იქნა შესწავლილი დასახლებული პუნქტების ტერიტორიული განლაგება. სააღწერო კადრები ძირითადად დაკომპლექტდა სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების, მასწავლებლებისა და რაიონის კულტურულ დაწესებულებათა მუშაკებით.

**ა. ვანიძე,**
სტატისტიკური სამმართველოს სიღნაღის რაიინსპექტორი.

• • •

**მოსახლეობის სრულიად საკავშირო** აღწერის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში დუშეთის რაიონში მონაწილეობას მიიღებს ოთხმოცზე მეტი აღმწერი და ინსტრუქტორ-კონტროლიორი. სამასზე მეტი აგიტატორი განუმარტავს მოსახლეობას აღწერის მნიშვნელობას, ეწყობა მოხსენებები და ლექციები აღწერასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რაიონის ძნელად მისადგომ ბარისახოსა და უკანა ფშავის სასოფლო საბჭოებში აღწერა მოეწყო ვადაზე ადრე — გასული წლის ოქტომბერში, რამაც კარგი გამოცდილება შეგვძინა.

**ნ. ოზბაიძე,**
სტატისტიკური სამმართველოს დუშეთის რაიინსპექტორის თანაშემწე მოსახლეობის აღწერის დარგში.

## სსრ კავშირის XXVI საჭადრაკო პირველობის ფინალი



გურგენიძის და ვასიუკოვის შეხვედრის მომენტი.
ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

* * *

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის XXVI საჭადრაკო პირველობის ფინალის მეორე ტური.

ამ დღეს ბრძოლა მიმდინარეობდა ცხრა საჭადრაკო მაგიდაზე. მეათე წყვილის შეხვედრა, კერძოდ ე. გელერსა და პ. კერესს შორის არ შემდგარა ე. გელერის ავადმყოფობის გამო.

ყველაზე ადრე დამთავრდა ლ. პოლუგაევსკისა და ა. ლუტიკოვის პარტია, სადაც ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ახეთივე შედეგით დამთავრდა ნ. კროგიუს-ბ. გურგენიძის, ბ. სპასკი-დ. ბრონშტეინის და მ. ტაიმანოვ-ტ. პეტროსიანის პარტიები.

ყურადღების ცენტრში იდგა ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის ი. იუხტმანისა და სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის მ. ტალის პარტია. ი. იუხტმანმა ბრძოლა მაღალი ოსტატობით ჩაატარა და გაიმარჯვა. ამრიგად, სსრ კავშირის ჩემპიონმა პირველი დამარცხება განიცადა.

ორი გროსმაისტერის ვ. კორჩნოისა და ი. ავერბახის შეხვედრა დამთავრდა ი. ავერბახის გამარჯვებით. ე. ვასიუკოვმა დაამარცხა ს. ფურმანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ორი ტურის შემდეგ წინ არის საერთაშორისო ოსტატი ე. ვასიუკოვი, რომელსაც 1,5 ქულა აქვს.

დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყობა გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშება. მ. ტალი ხვდება მ. ტაიმანოვს, პ. კერესი — ლ. პოლუგაევსკის.

**ა. ფალავანდიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

რედაქტორი დ. მეძლიშვილი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61. უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 01111 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 1